წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 10 კ.    ტელეფონი № 76.    შაბათი ივლისის 22 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . . 10 მან.
თვიურათ . . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი ... 
ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ.

რედაქცია და კანტორა ... 
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 85    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 85

კვირას 23 ივლისს მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული თავადის

ალექსანდრე ნიკოს ძე ერისთავის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ განსვენებულის ქვრივი კნეინა ოლია, ვარლამის ასული ერისთავისა შვილებით. პანაშვიდის დასაწყისი 11 საათზე ძველი დროით.

დავით ბესარიონის ძე, მარიამ, ელისაბედ, ეფემია და ნინო ბესარიონის ასულნი ხელთუფლიშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 23 ივლისს წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დის

ელენე ბესარიონის ასულის ხელთუფლიშვილის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე (ახალი დროით).

ნატალია, სერგი, არკადი და ლუკა ლუკას ასულნი ბახტაძენი ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ივლისს, ქ. ხონში, წმ. გიორგის ეკლესიაზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი დედის

ქრისტინე დავითის ასულის ბახტაძისა

სულის მოსახსენებლათ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 20, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

ბარგი ამა ქვეყნისა

მხატვრული დრამა 4 ნაწ. მონაწ. ე. პავლოვისა, პანოვის და რიმსკის.

ანონსი: ივლისის 24 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

რევოლუციონერი

თანამედროვე პარტიული ცხოვრებიდან.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 20 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

ქორწილისაგან წამებულნი

მხატვრული კომედია 5 ნაწ. მონაწ. რუტ როლანისა. მოსაქმეთა შორის კინო პიესა 2 ნაწ.

ანონსი: ივლისის 24, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

არევ-დარევა

სახუმარო ფარსი 4 ნაწ. მონაწ. ნევთაროვსკის, ბოლდირევის, სტრაჟევსკის და გრომოვის.

ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო ბანკი

5 ივლისიდან ქ. ქუთაისში ვორონცოვის ქუჩაზე ფ. გაბუნიას სახლში დაიწყო მოქმედება

ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო ბანკმა

ახდევინებს:

დახურდავებულ ვექსილში 10 პროც. სპეციალურ ანგარიშით:

ა) პროცენტიანი ქაღალდების გარანტიით 8 პროც.

ბ) საქონლის გარანტიის 8 პროც.

იხდის

მიმდინარე ანგარიშით 4 ნახ. პროც.-დი.

ფულის მიღება ვადით—5 ნახ.—7 პროც.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე—შორს ფარისევლობა.

ი. დ—ძე.—სალი გზა.

პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ქართულ სამხედრო ყრილობის გამო. ქუთაისის სასურსათო კომიტეტი. ახალი მომხმარებელი საზოგადოება. მოწერილი ამბები. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

## შორს ფარისევლობა!

სომხების პოლიტიკა ჩვენში მუდამ ფარული იყო. ღირსება სომხების თუ ნაკლულევანება, არ ვიცი. მაგრამ ეს კი ცხადია, რომ დღემდი მათ მოქმედებას კაცი ვერ გაიგებდა. ასე იყო, თუ ისე, თავის საქმეებს ისინი ჩინებულათ აწყობდენ და აჭახრაკებდენ. ზოგან ტკბილი სიტყვა, ზოგან კარგი ჰონორარი, ზოგან თვალსაჩინო „პეშკაში“, ზოგან ვიწრო ხვრელში გაძრომა, და ზოგან კიდევ, ვინ იცის რა ზომები, სომხებს ხელს უწყობდა თავისი საქმეები კარგათ მოერთოთ.

თუ ოდესმე წინ ისეთი პირები გადაეღობებოდათ, რომელნიც მათ ნაკარნახევ პოლიტიკას არ აწარმოებდა, მაგალითად მთავარმართებელი გოლიცინი და ბაქოს ყოფილი გუბერნატორი ნაკაშიძე, ისეთი პირების საწინააღმდეგოთ და მათ მოსაშორებლათ მახვილსაც კი დაატრიალებდენ.*) ყოველ შემთხვევაში თავის საქმეებს ჩუმათ აწყობდენ და ... მთავრობის მფარველობითაც კი სარგებლობდენ, რაც ვორონცოვ-დაშკოვის უსამართლო მართვა-გამგეობამ საქვეყნოთ დაამტკიცა.

ძველი რეჟიმის დროს, მართალია, ხან დახან სომხებსაც გასაჭირი მიადგათ და მათი მოქალაქობრივი უფლება ბევრჯერ იყო დაჩაგრული, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი მაინც ახერხებდენ თავის შეფარებას იქ, სადაც არც უხნავსთ, არც უთესიათ. თუ ის მართალია, რომ ცდა საქმის ნახევარიაო, სომხების შესახებ უნდა ითქვას, რომ მოხერხება საქმის სამი ჩარექი ყოფილა. სომხების პოლიტიკა მოხერხებაზეა დამყარებული, მოხერხება კი ისეთი პრინციპია, რომელიც ფართოთ უხსნის ხელს ადამიანს და ისეთი ზომებით ასარგებლებს რომელსაც ეთიკა სასტიკათ გმობს. ამის გამო სომხებს მეზობელი ერების თვალში ნდობა აქვსთ დაკარგული.

მეზობელ ერებთან უთანხმოება და მათთან შეთანხმების უიმედობა აიძულებდა სომხებს რუსეთის მთავრობის წინაშე ისეთ ტაქტიკას დასდგომოდა, როგორიც კი ხელსაყრელი იქნებოდა. რუსეთის მთავრობა ხან კიდეც სტყუვდებოდა. სომხებისგან მოხერხებულათ ნასროლ ანკესზე ბევრი რუსის მოხელე წამოეცვა და ბევრი ჭეშმარიტი რუსი ძველი მთავრობის მონა-მორჩილი—ბოლოს არა ჭეშმარიტი აღმოჩდა, რითაც სომხები კარგად სარგებლობდენ.*)

ამ დიადი ომის დროს სომხებმა მსოფლიო მდგომარეობას ალღო ვერ აართვეს და საგარეო პოლიტიკაში წაიკოჭლეს.

პირველათ ფართო პლანი შეადგინეს და ბრწყინვალე მომავალი დაისახეს, მაგრამ გარემოება შეიცვალა და მათი პლანებიც ოცნების სფეროში ჩაიმალა. რევოლუციას ისინიც მოუმზადებელი შეხვდენ. ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი მათ არ ყოფნისთ. იმათ მეტი უნდოდათ და, რადგან დიდზე ფიქრობდენ, პატარაზე მუშაობა ეჩოთირებათ.

პარტიული ბრძოლა სომხებთა შორისაც მოუწესრიგებელია, თუმცა პარტიობით მათ ეროვნულ საქმეს საფრთხე არ მოელის, რადგან ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სოციალისტობა სომეხს სომხობას არ დაავიწყებს და არც დააჩაგვრიებს. ეს ასეა ყოველ პოლიტიკურათ მომწიფებულ ერში და ასეც უნდა იყოს და, თუ ჩვენში არ არის, სამწუხაროც ესაა.

დღემდი სომხები ჩუმათ იყვნენ: არც კი ვიცოდით მათი ავტონომიის დეკლარაცია სად მზადდებოდა. ზოგი ამბობდა, ნევის ნაპირებზედო, ზოგი ამბობდა, საზღვარ გარეთო. ყოველ შემთხვევაში თვით კავკასიაში ამაზე კოტა ხმაურობა იყო. დღეს კი მათი გაზეთები თანდათან აცხადებენ თავისათვის საკითხებს და ბევრი საყურადღებო აზრებიც აშკარავდება.

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში (№ 83) წაიკითხავდით გაზ. „მშაკი“-დან ამოღებულ წერილს, სადაც გადაჭრით დაყენებულია საკითხი, როგორ უნდა მოექცეს სომხები რუსეთის მთავრობის პოზიციას ამიერ-კავკასიაში.

გაზეთი ამბობს:

„საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ გადასწყდეს, რა პოლიტიკას უნდა ადგენ სომხები. სასურველია თუ არა კავკასიაში რუსის მთავრობის შესუსტება, ანუ უკეთ, რომ ვსთქვათ, **სომხების რუსებისაგან გამოყოფა?** ჩვენ ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი გვაქვს. როგორც რევოლუციამდე, ისე ახლაც, **სომხებისათვის მეტათ საჭიროა**, რომ რუსის მთავრობა შეურყეველი იყოს ამიერ-კავკასიაში.

ამას მოითხოვს, როგორც რუსეთისადმი **მოვალეობის გრძნობა**, ისე სომხის ერის ინტერესები, ჩვენი მშვიდობიანი არსებობა. აწინდელ სინამდვილეში ხალხის თვითგამორკვევის უფლებამ ჩვენში **ტერიტორიალური და მიწის საკითხიც** წამოაყენა“...*)

ამ სიტყვებიდან ცხადათ სჩანს, რომ ვითომც დღემდი სომხებს არ სცოდნიათ, რა პოლიტიკას უნდა ადგენ. დღეს გარემოებას შეუშინებია ისინი და გადაჭრით ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობის შესუსტება ან რუსეთისაგან სომხების გამოყოფა შეუძლებელია, ვინაიდგან მათთვის მეტათ საჭირო ყოფილა ამიერ-კავკასიაში რუსეთის მთავრობის გამაგრება. ხალხის თვითგამორკვევის უფლებას ტერიტორიის და მიწის საკითხი წამოუყენებია, რასაც ძლიერ შეუშინებია სომხები. ამ შიშისგან თავის დასახსნელათ მათ მიაჩნიათ საჭიროთ რუსეთის მთავრობის გამაგრება. ეს არის სომხების პრაქტიკული მოსაზრება, მაგრამ ეს უფრო ლამაზათ რომ გამოვიდეს, იმასაც ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობისადმი ერთგულებას „მოვალეობის გრძნობა მოითხოვსო“.

ყველას ნება აქვს თავისი სურვილი გამოსთქვას, მაგრამ, როცა სურვილის გამოთქმის დროს ადამიანი სხვას აბეზღებს ან ფარისევლურათ სხვას ქათინაურებს ეუბნება—ეს სამარცხვინოა და აშკარათ დასაგმობი.

ჩაუკვირდით ზემომოყვანილ სიტყვებს. ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რომელიმე ერს განა უნდა რუსეთისაგან გამოყოფა? თუ ეს სომხებისათვის მოუხერხებელია, განა სხვას კი მოუხდება? ამიერ-კავკასიაში რუსეთის მთავრობა განა მარტო სომხებისათვის არის საჭირო? ამასთანავე რა მოსატანია აქ „მოვალეობის გრძნობა“, მაშინ, როცა ცხადათ ამბობენ, რომ ერთგულებას საჭიროება გვაიძულებსო? სადაც ასეთი პირადი ანგარიშები აშკარაა და ანგარება გამოცხადებულია, იქ „მოვალეობის გრძნობაზე“ განა შეიძლება სიტყვა დაიძრას? არა, მაგრამ ვისაც ხშირათ ყალბი ნაღდათ გაუსაღებია, ის თავისას ვერ მოიშლის.

თუ სომხებს რუსეთის მთავრობის გამაგრება ამიერ კავკასიაში მიტომ უნდათ, რომ ამით ტერიტორიისა და მიწის საკითხის გამო აღძრულ შიშს თავი დააღწიონ, ეს მეტათ სასირცხო საბუთია და ამის თქმა ეგებ ქათინაური იყოს, მაგრამ პოლიტიკური სიბეცე კი არის.

ნუ თუ სომხებს რუსეთის მთავრობის საშუალებით უნდათ გაიკეთონ ის, რაც არ შეუძლიათ გაიკეთონ საკუთარი გონებითა და კულტურით? ვის წინააღმდეგ უნდა გაამაგროს რუსის მთავრობამ სომხები? ვისგან უნდა იპატრონოს რუსის მთავრობამ სომხები? მეზობელი ერებისაგან? ძლიერ სუსტი ყოფილან სომხები, თუ კიდევ სხვის დერეფანში უნდათ თავი შეაფარონ.

რუსეთთან საერთო ცხოვრება ყველა ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ერს უნდა, მაგრამ მიტომ კი არა, რომ ამით მეზობელი ერი დასჩაგრონ, ან მისგან თავი დაიცვან, სრულებითაც არა. რუსეთთან ერთათ ჩვენ ვებრძვით გარეშე მტრებს. რუსეთთან კავშირი აუცილებელია სახელმწიფოებრივი მოსაზრებით. სხვა შეხედულება არც უნდა ქონდეს არც ერთ ჩვენში მცხოვრებ ერს, თუ მას არ უნდა თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააშენოს.

დღეს რეალური პოლიტიკის ხანაა, ლაქუცობას და ფარისევლობას ადგილი აღარა აქვს. ყველამ თავისი სახე უნდა გამოაჩინოს.

სომხებს რუსებისადმი მეტი ერთგულება არა აქვსთ, ვინემ სხვა მათ მეზობელ ერებსა; ამიტომაც ქათინაურები უკუ ვაგდოთ და გულწრფელათ ასე ვსთქვათ:

რუსეთის ყველა ერთგული ვართ, რუსეთთან მჭიდრო კავშირით ცხოვრება ყველას გვინდა, მაგრამ რუსეთისაგან მოვითხოვთ ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვას, ჩვენი მოქალაქეობრივი უფლების განმტკიცებას და პატივისცემას. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ეროვნება, სულით და გულით ვეწირებით მას, მაგრამ პატივსა ვსცემთ სხვის ეროვნებასაც. ჩვენ ვიცავთ ჩვენს უფლებას, მაგრამ სხვასაც ამასვე ვუსურვებთ; ჩვენ ჩვენსას სხვას არ გავატანთ, მაგრამ სხვისას არ ვიტაცებთ. მოგვექცენ ისე, როგორც მათ სურთ, რომ ჩვენ მოვექცეთ,—აი პრინციპი მსოფლიო მორალისა.

სომხებს გადაჭრით უნდა ვუთხრათ, რომ მეზობელი ერებისაგან თავდასაცავათ რუსეთის მთავრობისადმი ლტოლვა შემცდარი გზაა. მეზობელ ერებთან მეზობლური კავშირია საჭირო და ეს მაშინ იქნება, როცა სომხები სწორ პოლიტიკას დაადგებიან, გულწრფელად იმოქმედებენ და სამართლიანობას გამოიჩენენ.

აი ამაზე იზრუნონ სომხებმა და არა იმაზე, რომ რუსის მთავრობას თავი მოაწონონ. რუსეთის მთავრობას ამიერ-კავკასიაში ყველა კარგად ექცეოდა და დღესაც კარგათ ექცევა. სეპარატიზმზე გადაჭრით ლაპარაკს პროვოკაციის სუნი უდის. ამას ყველა უფრთხილდეს.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

*) ჟურნალ „Историческій Вѣстникъ“-ში ნაკაშიძის მკვლელის ამბავი დაწვრილებით არის გამოქვეყნებული.

*) მოვიგონოთ ვატაძე და გუბერნატორი ბიკოვი.

*) კურსივი ყველგან ჩვენია.

ავტ.

## სალი გზა.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მე-28 კორპუსის ქართველ მხედართა ხმა. თანამედროვე მომენტისთვის ეს ხმა დიდ მნიშვნელოვან ფაქტად ჩაითვლება. ყოველთვის ღრმა მწუხარებით აღვნიშნავდით, რომ ძველი თვითმპყრობელურ რეჟიმის დროს სამხედრო სამსახურში შესული ქართველები გადაგვარდენ და ბევრი მათგანი სამშობლოს მოსწყდა.

რევოლუციას, როგორც ახალ შემოქმედების ფაქტორს უნდა განეშორებია ჩვენგან ძველი დამამახინჯებელი სამარის გამთხრელი სენი. ახალი სულისკვეთებით, ახალი აზროვნებით უნდა შევხვედროდით რევოლუციურ ქარტეხილს და ყოველ მხრივი ეროვნული მშენებლობა უნდა დაგვეწყო.

ეროვნულმა უმწიფობამ ქართულ პოლიტიკის სიუძლურემ ხელი შეგვიშალეს, ვერ ჩავსწვდით დიად დროის შინაარსს.

დღეს ბევრს ვნანობთ, შეცდომებს ვსჭვრეტთ...

საკვირველი ამბები მოხდა. რუსეთის ყოველი ერი შესდგა ეროვნულ აღორძინების ასპარეზზე და რკინის ნების ყოფით საკუთარ უფლებების აღდგენა და დაცვა დაიწყო.

უკრაინაში ეროვნული მოძრაობა ცალკე ჯგუფებს კი არ დაუწყია, არამედ იქ ამ მაღალ სიტყვას მთელი ერი ასმენდა დრ. მმართველობას. უკრაინის მუშები, გლეხები, სამღვდელოება, წარჩინებული წრეები და უკრაინის ლაშქარი, რომელმაც ეროვნულ აღტყინების სფეროში იშვიათი მაგალითი გამოაშკარავა.

რუსეთის დრ. რევოლუციური მმართველობა პირველ ხანს უარით შეხვდა უკრაინელთა ამოქმედებას, კადეტებმა მას რუსეთის დამაქუცმაცებელი სეპარაცია უწოდეს; მაგრამ ბოლოს ისე მოხდა, რომ დრ. მმართველობამ სალსა და ბუნებრივ მოვლენას პირდაპირი ანგარიში გაუწია და უკრაინელთა მოთხოვნილება რამოდენიმეთ დააკმაყოფილა. ამ ჟამათ უკრაინას ჰყავს საკუთარი კორპუსები.

უიმედობა ისადგურებდა ჩვენს შორის, რადგან საკუთარ ქართულ აღორძინებას ვერ ვხედავდით. „გულ აღერილები“ საკუთარ ღმერთ-მსახურებას ჩამოშორებულები, „მოდუნებულთა“ ხასიათზე დავდექით. ასეთ საშინელ დროს ყოველ ელემენტარ შეგნების ქართველს სამშობლოს ინტერესი უბრძანებს დაუყოვნებლივ მიეცეს გამოფხიზლებას, რათა მრავალ უბედურება გამოვლილი სამშობლო სულ არ დაღუპოს.

მე-28 კორპუსის ქართველთა გადაწყეტილება ამ მხრივ არის საყურადღებო. რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში მყოფი ქართველი მხედრები სამშობლოს სამზრუნველოთ სდგებიან. რომანოვთა პარპაშობის დროს ეროვნულად შეურაცყოფილი და დაჩაგრული ქართველი ჯარისკაცები თავისუფალ თვითგამორკვევისაკენ მიისწრაფვიან.

საქართველოს სახსნელათ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ ეროვნულ თავისუფლების მოპოების ინსტინქტი ყოველ მდგომარეობის, დარგის, სარწმუნოების და მიმართულებს ქართველებში აღიძრას და რეალ განხორციელების გზას დაადგეს.

გულ-ქვებს შეუძლიათ ამ დროს ხელი შეუშალონ ქართველ მხედართა ეროვნულ თვით მოქმედებას.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს თანამემამულეს ბ-ნ ე. გეგეჭკორს სასურველათ არ უცვნია თბილისში ქართველ მხედართა შეერთებულ ყრილობის მოწვევა.

საკვირველია ეს ამბავი... არ გვინდა, რომ ის სინამდვილეთ წარმოვიდგინოთ. უფრო საკვირველია ის გარემოება, რომ ქართველ მხედართა დელეგაციას თავის თხოვნაზე დადებითად უპასუხებენ მინისტრი კაკი წერეთელი და პეტროგრადის მუშათა-ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპ. კარლო ჩხეიძე.

ესენი ნათლად ხედავენ, რომ ქართველ მხედართა წყურვილი ხელოვნური და კონტრევოლუციური კი არ არის, არამედ სალი და ბუნებრივია.

გასაოცარია ე. გეგეჭკორის პასუხი.

ხალხის ბუნებრივ მისწრაფებას ცალკე პიროვნებების ჯიუტობა ვერას დააკლებს და სამართლიანი ზრახვები გზას არ დაკარგავენ.

მე-28 კორპუსის ქართველ მხედართა მიერ ამოღებული ხმა მაღალ ეროვნულ მოვალეობის გამომღავნებაა და ყოველი ნაწილის ქართველი მხედრობა ვალდებულია ასევე მოიქცეს.

ი. დ—ძე.

## პრესა

კონტრევოლუცია.

გაზ. „ალიონი“ მოწინავე წერილში ეხება რევოლუციურ რუსეთის წინაშე აღმართულ კონტრევოლუციის საფრთხეს. ხიფათს თავიდან ასაცილებლად გაზეთის აზრით საჭიროა მოხდეს რევოლუციურ დაქსაქსულ ძალების კონცენტრაცია და სხვათა შორის

„ყველა რუსეთში მყოფი ერის შეთანხმებული მოქმედება საერთო საფრთხის დასაძლევად“.

მაგრამ მეორეს მხრივ გაზეთის აზრით საამისოდ

დრ. მთავრობა საყოველთა ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი, მთელი ხალხი უნდა ხედავდეს მასში თავის საერთო ცენტრალურ ორგანოს, ყველა ერი უნდა თანაუგრძნობდეს მას, ყველა უფლება ახდილი ხალხი უნდა ემხრობოდეს მას, როგორც თავის კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ ორგანოს“.

სისასტიკე გაზეთს უქმად მიაჩნია.

„სიკვდილით დასჯა და სასტიკი რევოლუციური სამსჯავროების შემოღება ვერ იხსნის რევოლიუციას, თუ თავისთავად რევოლუციური ძალები შეკავშირებული არ გამოვიდენ მის დასაცავად და მთელი რუსეთის, ხალხის და ერების უმთავრესი მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილდა“.

იმავე გაზეთში მოთავსებულია საყურადღებო წერილი. მისი ავტორი ვ. ჯაფარიძე კონტრევოლუციასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად სთვლის ყოველ ეროვნულ ერთეულის საკუთარ მიწაწყალზე ბრძოლას და იქვე გამაგრებას კონტრევოლუციის წინააღმდეგ.

„არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო ადგილობრივი დემოკრატიული და რევოლუციური ცენტრების შექმნის და განმტკიცების აუცილებლობა, როგორც დღეს. კონტრ- რევოლუციამ ერთგან კიდეც რომ გაიმარჯვოს, მეორეგან ვერ უნდა მოიკიდოს ფეხი“.

შემდეგ წერილს ავტორი მკითხველებს მიუთითებს ასეთ უკვე არსებულ ადგილობრივ ცენტრებზე:

„ფინეთს თავისთავად ცხადია, ისეთი საფრთხის აღარ შეეშინდება. ყოველ შემთხვევაში მას კარგი საშუალება აქვს მას შეებრძოლოს წარმატებით. უკრაინამაც დიდი წინდახედულება გამოიჩინა და დრ. მთავრობასთან შეთანხმებით შექმნა ორგანო, რომელიც ადვილად არ დასთმობს თავის თავისუფლებას და ავტონომიას. ის თავის თავს უპატრონებს, და თუ კონტრ-რევოლუციამ აქტიური მოქმედება გამოიჩინა, ის ჯეროვან პასუხს გასცემს მას.“

ბოლოს საჭიროდ მიაჩნია მას, ჩვენც დავადგეთ ამ გზას:

„ჩვენ გვგონია, რომ დროა ჩვენც ჩავუფიქრდეთ ჩვენ მდგომარეობას და კავკასიის მცირე ერებმა გამოვძებნოთ რამე საშუალება ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი საფრთხე.

გაზ. „ვოზროჟდენიე“ ეხება რუსეთის ეხლანდელ არეულ დარეულ მდგომარეობას, რომლის მთავარ მიზეზთა შორის მას წვრილ ეროვნებათა მოთხოვნილებების უყურადღებოთ დატოვება გამოჰყავს; მეთაურ წერილში ბ-ნი ამბი ამბობს, რომ

„ძველი მთავრობა თუ დრო და დრო განაპირა ქვეყნებს სხვადასხვა ბუნდოვან დაპირებებს გვაძლევდა, გვაიმედებდა, მაგრამ უსინიდისოდ გვატყუილებდა. ახალ მთავრობას არ შეგვიძლია ცრუობა დავსწამოთ, ვინაიდგან მას ვერ მოვთხოვთ დაპირებულის შესრულებას, რადგან ის არც არაფერს დაგვპირებია“.

ავტორის აზრით, ჩაგრულ ერთა წინ თავისთავად ასეთი დილემა იბადება:

„მიუხედავად იმის შიშისა, რომ მარჯვნით გადახრილი და გამაგრებული მთავრობა მომავალში ერთა ჩაგრის გზას დაადგება, დაუჭიროს მას მხარი, თუ თავის საქმეების მოწესრიგებას თვითვე შეუდგეს იმ იმედით, რომ ძველი სახელმწიფოს ნანგრევებზე ახალი, უფრო ასატანი ცხოვრება აყვავდება“.

## რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

დეპეშები

დროებითი მთავრობის მიმართვა მოკავშირეებისადმი.

პეტროგრადი. ივლისის 18 რუსეთის თავზე მოვლენილ მძიმე უბედურებათა ჟამს საჭიროდ ვთვლით მოკავშირეებს გავუზიაროთ ჩვენი შეხედულება მომავალ ომზე. რუსეთის რევოლუციამ დიდი ცვლილება შეიტანა ცხოვრებაში. მაგრამ ძირითადმა ცვლილებებმა ვერ გაიარა უხიფათოდ. მიუხედავად ამისა რუსეთი გრძნობს, რომ სხვა გამოსავალი არ არის და განაგრძობს საერთო საქმეს ბრძოლის ველზე. უდიდეს შინაგან ცვლილების დროს მან იტვირთა ომის ყველა სიმძიმე. ახალ სტრატეგიულ მდგომარეობას დიდი ზიანი მიაყენა გერმანელ აგენტების მიერ გამოყენებულ უპასუხისმგებლო პირთა აგიტაციამ, რასაც მოჰყვა პეტროგრადის ამბოხება, ჯარმა კი ბრძოლის ველზე თავისი მოვალეობა დაივიწყა, მტერს გზა გაუხსნა. რევოლუციურ ნების ყოფით შექმნილმა დრ. მთავრობამ ჩააქრო ამბოხება და პასუხისის გებაში მისცა. მთავრობამ ზომები მიიღო ჯარის ძლიერების აღსადგენად, რათა რუსეთი რევოლუციურ განახლების გზაზე გაიყვანოს.

გადასწყვიტა რა რუსეთმა აღიარებულ იდეალების მისაღწევად ომის გაგრძელება, არავითარ საფრთხეს არ შეუშინდება და ომის მე-4 წლისთვისაც მოემზადება. ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ ძვირფასი სამშობლოს დაცვის, წმინდა საქმის გასაკეთებლად რუსეთის ყველა მოქალაქეები შეერთდებიან. მათი გული დიდმა აღფრთოვანებამ აღანთო თავისუფლების გამარჯვების რწმენით და რევოლუციის უძლეველი ძალა გარეშე მტრისაკენ მიმართა. ვიცით, რომ ამ ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული ჩვენი და კაცობრიობის თავისუფლების ბედი. ახალმა დამარცხებამ მოღალატეობის სახით უფრო გაუკაფა რუსის ხალხს იმის შეგნება, რომ მთელი თავისი ძალღონის და ქონების მოტანა საჭირო სამშობლოს გადასარჩენად. გვაქვს რა ამის მტკიცე შეგნება, გვრწამს, რომ დროებითი უკან დახევა ხელს ვერ შეგვიშლის საჭირო წამს შევუტიოთ მტერს სამშობლოს დასაცველად და გამარჯვებით და ვასრულოთ დიადი საქმე, რისთვისაც ჩვენ იძულებული ვიყავით გვებრძოლა.

ცვლილებანი სამხედრო უწყებაში.

პეტროგრადი, ივლისის 19. ბრძოლის ასპარეზზე დანიშნულ გენ. პოლოვცევის მაგივრად პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსად გენ. ვასილკოვსკი დაინიშნა. გენ. მაიორი იაკუბოვიჩი, რომელიც კერენსკის პეტროგრადში არ ყოფნის დროს სამხ. მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, ეხლა ამ თანამდებობიდან განთავისუფლდა, რათა ერთიანად ჯარის ორგანიზაციასა და მთავარ შტაბის გამგებლობას შეუდგეს. სამხ. დასავ. ასპარეზის კომისარი სავინკოვი სამხ. მინისტრის ამხ. ინიშნება და კერენსკის მაგივრობას გასწევს სამხ. სამინისტროს სამოქალაქო ნაწილში და დრ. მთავრობის სხდომებს დაესწრება ხოლმე.

## უცხოეთი

პ. დ. ს.

დეპეშები.

ლანსინგის განცხადება.

ჩიკაგო. ივლისის 18. ოფიცრებისადმი მიმართვაში ლანსინგმა ხაზი გაუსვა გერმანეთის იმპერიალიზმის საფრთხეს. შტატებისა და მთელი ქვეყნისათვის და ის რწმენა გამოსთქვა, რომ გერმანეთის ხალხი არ მოსპობს ავტოკრატიას, ვიდრე შეერთებული დემოკრატია დანარჩენ ქვეყნებისა ძალით არ დაამსხვრევს მას.

საერთო ზავი მაშინ დამყარდება მხოლოდ, როდესაც დემოკრატიას შიში არსაიდან არ მოევლინება.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივლისის 19. ბროდის სამხრ.-დას. დუბზარკუას მიდამოებში დიდი საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა ჩვენს პოზიციებს შემოუტია და ის იყო ნაწილი დაიპყრო, რომ ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ახლად მოსულმა მარჯვეა ჯარმა მდგომარეობა აღადგინა. ამ ბრძოლაში სახელი გაითქვა მე-419 პოლკმა. გალიციაში ტრემბოვლიას მიმართ ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ადვილად დაიპყრო გრჟემალოვი. მდ. ზბრუჩთან გუსიატინის ჩრდ. და ზბრიჟის სამხრ. მტერმა რამდენჯერმე სცადა გადმოსვლა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. გუშინ ზბრუჩისა და დნესტრის შუა ზალუჩიეგერმანოვკას მიდამოებში მდ. ვეკუპეს ბოლოში მტრის დიდმა ძალებმა ჩვენ პოზიციებს ტემოუტიეს, მაგრამ მედგარი ბრძოლის შემდეგ მდინარეზე გადავრეკეთ ჩვენი ჯარი დიდათ დაზარალდა, განსაკუთრებით ოფიცრობა. მდ. დნესტრისა და პრუტის შუა მთელი დღე მტერს იერიშები მოჰქონდა, განსაკუთრებით მდ. დნესტრისა და შარაგზის გასწვრივ. ჩერნოვიცაზე მოტანილ მტრის იერიშების მოგერიების შემდეგ ჩვენი ჯარი იძულებული იყო რამდენიმე უკან დაეხია. კარპატებში სინიტულის მიდამოებში რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. ბრიაზას მიდამოებში იერიშები მოვიგერიეთ.

რუმინეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივლისის 19. კიმპოლუნგის სამხრ. დასავლ. ნეგრას მიდამოებში მტერმა შემოგვიტია, მაგრამ ჩვენმა ჯარმა უკან დაახევინა. დანარჩენ ასპარეზებზე სროლაა.

ვალეპუტნო-კიმპოლუნგის შარა გზის ჩრდილ. იერიშები მოვიგერიეთ, სამხრეთით კი უკან დავიხიეთ. სოვეჯის ჩრდ. 10 ვერს. მდ. პუტიპის მარჯვ. ნაპირზე რუმინელებმა პოზიციები დაიპყრეს.

კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივლისის 19. მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი.** ივლისის 18. გუსიატინის ჩრდ. მდ. ზბრუჩზე გადმოვიდა და პოზიციები წაგვართვა, მაგრამ მდგომარეობა აღვადგინეთ. ზბრუჩზე პუკლისნი-პოდფილიპიეს მიდამოებში გერმანელები გადმოსვლას ლამობდნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. მტრის ძალდატანებით ზალეშჩიკი დავსტოვეთ. დნესტრის სამხრ. მტერმა შეტევა დაიწყო გაიმართა მედგარი ბრძოლა, რომლის დროსაც პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. ჩვენმა ჯარმა დოროშაუც-ზასტავკა-ვერენჩაკა -ორჩეპის ხაზსე უკან დაიხია. აქ რამდენიმე პოლკმა თავი ისახელა, ოფიცრობა ძლიერ დაზარალდა.

კავკასიის ასპარეზზე

პეტროგრადი ივლისის 18. უცვლელადაა

მფრინავთა მოქმედება

რიგის სამხრ. ზარბაზნების სროლით მტრის საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ. პარტია დაიმტვრა, მფრინავები დაიხოცნენ. გერმანელთა საჰაერო ესკადრილიამ სადგ. ვილეიკა, სტოლბცი ზამირუში ყუმბარები ჩამოჰყარა ჩვენი აგენტების ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანელთა მთავარ რუსეთის შინაურ ცხოვრების და ჯარის მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჰქონია და იმის მიხედვით დაუწყია შეტევა გადმოგვცემენ: ჰინდენბურგი ვილჰელმს დაჰპირებია რუსეთს ორ თვეში ბრძოლის უნარს წავართმევო.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი, ივლისის 18. ჩვენს მარცხენა ფრონტზე კარგა დიდ მანძილზე ფრანგებთან ერთად დილით მოწინააღმდეგეს შევუტიეთ. ლირის ჩრდილ. ჩვენმა ჯარებმა მიზანს მიაღწიეს. შეტევა ნაყოფიერია. ჯარი წინ მიიწევს. უკვე წამოვიყვანეთ ტყვეთა საკმაო რიცხვი.

ლონდონი, ივლისის 18, იპრის მიდამოებში მთელი დღე მარჯვედ ვაწარმოვებთ ოპერაციას. მიუხედავად უამინდობისა 15 მილის მანძილზე მტრის ხაზი გავარღვიეთ სოფ. სტეენსტრატე და იზბერი ჩვენს ხელშია. მარცხენა ფრთაზე გერმანელთა ხაზებში 2 მილით შევიჭერით.

იტალეთის ასპარეზი.

რომი. ივლისის 18. მთელს ასპარეზზე ზარბაზნების სუსტი მოქმედება. ტრავინოლოს ღელეში ჩვენმა სადარაჯო რაზმმა სამჯერ მასზე დიდი მტრის რაზმი გაფანტა. იტალიელებს აქ მოუკლეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ოფიცერიც. პოდგორიცის ახლო მტრის საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ და დავწვით.

ბალკანეთის ასპარეზზე.

სალონიკი, ივლისის 18. რამდენიმე ნაწილში სადარაჯოების შეტაკებაა. დანარჩენ ასპარეზებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

მთავარ-სარდლის გამოცვლა.

პეტროგრადი, ივლისის 19. უმაღლესი მთავარ-სარდალი კავალერიის გენერალი ბრუსილოვი დროებით მთავრობის განკარგულებაში ინიშნება. სამხრეთ-დასავლეთ. ასპარეზის მთავარ-სარდალი ინფტერიის გენერალი კორნილოვი ინიშნება უმაღლეს მთავარ-სარდლად. მე-8 არმიის მთავარსარდალი გენ.-ლეიტენანტი ჩერემისოვი სამხ. დასავ. ასპარეზის მთავარ-სარდლად ინიშნება. ხელის აწერს პრემიერ-მინისტრი: კერენსკი. სამხედრო სამინისტროს გამგე გენ. მაიორი იაკუბოვიჩი.

რადკო დმიტრიევის გადადგომა.

პეტროგრადი. ივლისის 19. ავადმყოფობის გამო გადადგა რადკო დმიტრიევი მის ადგილას დაინიშნა გენერალი შარსკი.

მოქმედი არმია.

18. სამხრ. დასავ. ასპარეზის კომისარის თანაშემწის გობეჩიას მოხსენება სამხედრო მინისტრს: მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ გენ. კორნილოვის მთავარსარდლობის ქვეშ მყოფი დაშქარი განსაკუთრებით მე 11 არმიის პოლკები რომელნიც ამას წინად თავის ნებით პოზიციებს სტოვებდენ, დღეს მტრის ყველა იერიშებს იგერიებენ. გუსიატინთან მედგარი ბრძოლები გაჩაღდა, რომლის დროსაც ტყვეები წამოვიყვანეთ. ჯარის სულიერი განწყობილება იცვლება, რაც იმედს გვაძლევს იმისას რომ ჯარი რევოლუციის მიერ დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებას შესძლებს.

---

სამშაბათს 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე რეალურ სასწავლებელის დარბაზში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტთა კრება. ამხანაგების დასწრება აუცილებელია, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ კრებას ნუ დააკლდებიან.

პრეზიდიუმი

---

## ახალი ამბავი

60 ვაგონი შაქარი. ფოთში ზღვით მოვიდა 60 ვაგონი შაქარი.

✦ ნიორი. სასურსათო მინისტრის კავკასიის რწმუნებული ქუთ. აღმ. კომიტეტს დეპეშით ატყობინებს, რომ ნიორი მეტად საჭიროა სხვადასხვა ავადმყოფობასთან საბრძოლველათ და ამიტომ მისი კავკასიიდან გაზიდვა კერძო პირთ ეკრძალებათ. საგუბერნიო სასურსათოკომიტეტები ამ მოკლე ხანში ნიორს ნიხრს დაადებენ

✦ პროფესიული კავშირი. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ განიხილა ქუთ. გუბერნიის მუშა ფარმაცევტთა კითხვა. ფარმაცევტთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა ცალკე პროფესიულ კავშირის დაარსებას. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ უარყო ხსენებულ ჯგუფის თხოვნა და დაადგინა, ფარმაცევტთა კავშირი ერთი და გაუყოფელი იყოს თანახმად სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ინსტრუქციისა.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ. მარიამ კასაბოვის ქალმა ივლისის 20-ს ქალაქის თეატრში დაკარგა თამასუქის (ვექსილის) ქაღალდი (100 მან.) კ. ჰარხალაშვილის ხელის მოწერით. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს საგუბერნიო სამხედრო სამმართველოში.

✦ საოცარი ამბავი, სასტუმრო „ცენტრალში“ იმყოფება 19 წლის ჩაჩიბაიას ქალი. როგორც მშობლები ირწმუნებიან ქალს ორითვეა არაფერი არ უჭამია. ერთხელ მოკვდა, ხუთი დღით კუბოში იწვა, და შემდეგ ისევ გაცოცხლდა. ქალმა არ იცოდა, მეგრულის მეტი სხვა ენა მაგრამ

როგორც მოწმეები ირწმუნებიან, გამოლაპარაკების დროს ყველა ენაზე ლაპარაკობს. ქალი უცნაურ სიტყვებს ამბობს ომის შესახებ. გუშინ ქალი ინახულა ილია ჩიქოვანმა, ექიმმა ვალ. ლორთქიფანიძემ, ელენტმა და ადგილობრივ გაზეთების კორესპონდენტებმა. ყველა ნანახველი განცვიფრებაში მოვიდა.

— შისაბაძი მაგალითი. ბატონ გუდუჩავას ასულმა ბიბილეიშვილისამ ამ წლის დამლევამდე გამოუწერა გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ სამშია სერის წიგნით საცავ სამკით ხველოს.

— მოქმედების დაწყება. ქუთ. საგუბ. ალმ. კომიტეტმა მოქმედება დაიწყო ივლისის 22 დან. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 12-საათ. 1 საათამდის. ქუთ. საგუბერნიო სამმართველოში.

✦ ახალი სამკითხველო. ივლისის ოციდან ფერმის უბანში გაიხსნა კაკი წერეთლის სახელობის სამკითხველო.

✦ სანოვაგის მიღება. ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტს ქუთაისის სადგურზე მოუვიდა 32 ვაგონი სხვადასხვა სანოვაგე.

✦ 200 მან. გადადება. ქუთაისის ბეჭვდითი საქმის პროფესიულმა ბიურომ საკუთარ სამკითხველოს გასახსნელათ 200 მანეთი გადასდო.

✦ ნიხრი ეტლით მიმოსვლაზე. ივლისის 20-ს ქალ. სასურსათო კომიტეტში მომხდარმა თათბირმა შემდეგი ნიხრი დააწესა ეტლით მიმოსვლაზე: სადგურიდან ხელის ბარგით 1 მ.—50 კაპ., დიდი ბარგით 2 მან., სადგურიდან არქიელის მთამდე 3 მან., გაბაშვილის მთამდე—3 მ. 50 კაპ., ჭომამდე—3 მან., „პერეეზდამდე“ 2 მან., ლაითაძის დუქნამდე—2 მ. 50 კაპ., 1 საათით ეტლის დაქირავება—6 მან. ცენტრიდან ქალაქის საავადმყოფომდე აქეთ-იქით ნახევ. საათ. 3 მან., საფიჩხიის სასაფლაოზე 1 საათ.—3 მან., ფერმამდე 1 მ. 50 კ. ფერმიდან სალორიის ტყემდე—2 მან; მწვანეყვავილამდე 2 მან; ძველ საკირემდე—2 მან; „ხასტავამდე“—1მ.50 კაპ; ოდასკურის სასაფლაომდე ნახ. საათ. გაჩ.—3 მან; ვოგზალამდე ხელის ბარგით—1 მან; მეტი ბარგით—1 მ.—50 კაპ. სადარბაზოთ ეტლის დაქირავება თითო საათში ეღირება 3 მ.—50 კაპ., სასეირნოთ—შეთახმებით ავადმყოფთათვის ორი ბოლო (კონეცი) 3 მან.

✦ ახალი დადგენილება ბეჭვდითი საქმის შესახებ. 12 ივლისის სხდომაზე დროებითი მთავრობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო 1917 წლის 27 აპრილის დადგენილებების შეცვლა და შევსება. ახალი დადგენილებების ძალით სამხედროსა და შინაგან საქმეთა მინისტრებს უფლება ეძლევათ იმ გამოცემათა დახურვისა, რომელნიც სამხედრო მთავრობის განკარგულებათა სამხედრო მოვალეობის ასრულების წინაამდეგ მოუწოდებენ, ან ისეთ წერილებს დასტამბვენ, რომელნიც ძალმომრეობისა და სამოქალაქო ომისაკენ მოუწოდებს. ამავე დროს ხსენებულ ორგანოთა პასუხისმგებელი რედაქტორები სასამართლოში მიიცემიან.

✦ ქართ. უკრაინელთა სალამოს გამმართველთაგან. კომისია სთხოვს იმ პირს, რომელმაც შეცდომით (ლოტარეიადან № 393 და 393) წაიღო მიწის ვაზა, უკან დააბრუნოს და მიიღოს თიხის საყვავილე ვაზი. ვაზის უკან დაბრუნება შეიძლება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში. მომტანს გადაეცემა 5 მანეთი.

## უკანასკნელი ამბები

### შტიურმერის პროექტი.

ეხლახან გაჩხრიკეს შტიურმერი მას აღმოაჩნდა პროექტი რუსეთის 10 სამეფისნაცვლოდ დაყოფისა. პროექტის მიზანი რევოლუციის საწინააღმდეგო ბრძოლის გაადვილება იყო.

### რევოლუციის ჩასაქრობად 1.400.000 მანეთი.

საგანგებო კომისიამ გამოარკვია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფ ა. ნ. ხვოსტოვს 1.400.000 მანეთი მიუღია რევოლუციის ჩასაქრობად.

### მილიციის დაშლა.

პეტერბურგის მილიციონერებმა დაადგინეს დაიშალონ და წინანდელ საქმეს დაუბრუნდნენ. დიდი უმრავლესობა მათ შორის მუშები ყოფილა.

---

# შაბათს, 22 ივლისს 1917 წ. ქუთაისის რეალურ

სასწავლებლის დარბაზში, დილის 9 საათზე გაიმართება ეროვ. დემოკრატების მოსწავლე ახალგაზრდობის (განურჩევლათ სქესისა)

# საზოგადო კრება

კრების საკითხი:
1) ახალი პრეზიდიუმის არჩევა;
2) თანამედროვე საკითხები;

**ვსთხოვთ ყველას უსათუოდ დაესწრონ.**

ახალი დროებითი პრეზიდიუმი.

---

## პატარა ფელეტონი.

### მ უ რ ი ა ს.

საგანგებოთ დათარეშობს მურია;
მისი ფიქრი სულ მტრობა და შურია;
დობლდებს ისვრის; სჩანს, რომ გულმოსულია..
„ამუ“, „ამუ“. ჰყეფს შავპირა მურია.

—

თავი მოაქვს, ვითომც დიდი ნაგაზი
ჰპატრონობდეს მამაპაპეულს არეს...
ზოგს ჰგონია, არვინ არს მის მსგავსი,
თუმც წასახდენს ისვრის შხამს და მდუღარეს...

—

რომ შეხედო, მახინჯია, უმსგავსო,
კისერ მოკლე და კუდგრძელა მურია.
ვერ მოიგებ იმის გულსა ვერაფრით,
რადგან იმის გრძნობა ფიქრი შურია.

—

არ დაინდობს ის პირშავი არავის,—
მისთვის ერი და მღვდელი სულერთია,
მის სიავით აღარ სძინავს მეზობლებს
და ამბობენ: „რა უმსგავსო მხეცია“!

—

ქვემო მხარე ამოაგდო სიხარბით,—
ვერ გაამლეს ავი, გაუმაძღარი...
ზემო მხარეს მიაშურა. რომ სცემეს,
იქაც იწყო შურით ღრენა, წანწალი...

—

და დღესაც კი ჰყეფს კუდგრძელა უზრდელად,
აამყროლა კახაბერის ქვეყანა...
აღარ არის მოსვენება მის ყეფით
და შესძულდათ ტყე მინდორი და ყანა.

—

ყველგან ურცხვად დათარეშობს პირშავი,
დღე და ღამე იზრდება მის შურია,
მხოლოდ კბენა დაუსახავს მას მიზნად
და ღრენს მუდამ ის საბრალო მურია.

—

როცა არ ღრენს მაშინაც კი თავს ირთობს —
„დანოსების“ კანტორა აქვს გახსნილი.
ჭორებს ეძებს სხვის წასახდენ მასალად
და ეს არის მისი გულის წადილი.

—

გაუმაძღარს, ღორმუცელას, საბრალოს
სხვის სიკეთე შურს, თვალი არეულია...
—ვერ შეარყევს შენი ყეფა სხვის რწმენას
პატიოსანს და იყეფე მურია!!

იცოდე რომ შენი ყოფა და შური
ვისაც უღრენ აფხიზლებს, დასტურია...
ეზიზღება შენი უმსგავსო ქცევა
და დაგცინის; „ამუ, ამუ“ მურია!!.

იმერელი.

---

## ქუთ. სასურსათო კომიტეტი.

### ივლისის 20-ის კრება.

ქუთ. სასურსათო კომიტეტის ეს კრება საინტერესო იყო. დღიურ წესრიგში აღნიშნული იყო ქალაქის მეეტლეებისა და მედროგეების მოთხოვნილებათა და საუბნო სურსათო კომიტეტების შუამდგომლობის განხილვა. პირველი კითხვა კრებამ მეეტლეთა წარმომადგენლებთან ერთად ხანგრძლივი კამათის და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ გადასწყვიტა და მტკიცე ნიხრი დასწერა; თან ის დადგენილება გამოიტანეს, რომ ნიხრის დარღვევის ყოველი შემთხვევისთვის სასტიკად დაისაჯნენ დამნაშავენი. მეორე კითხვა მედროგეების მოთხოვნილებათა შესახებ უფრო ადვილად გადასჭრა კრებამ; რაც შეეხება მესამე კითხვას, საუბნო კომიტეტების შუამდგომლობის შესახებ, კრება ერთ დასკვნამდე ვერ მივიდა და საქმე შემდეგისთვის გადაიდო. ასე რომ მთელი სხდომის მუშაობა ნიხრების დაწესებით ამოიწურა.

კრების გახსნისას თავმჯდომარემ. ალ. რომ. ჯაფარიძემ კრებას გააცნო ქალაქის მეეტლეთა მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებამდე მეეტლენი გაფიცულები არიან. ვიდრე ნიხრის დაწესებას შეუდგებოდა, კრებამ საჭიროდ დაინახა გამოეკვლია, თუ რამდენად სამართლიანია მეეტლების მოთხოვნილებანი. ამისათვის კი საჭირო აღმოჩნდა იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი ეხარჯება თითო მეეტლეს დღეში და როგორი შემოსავალი აქვს. მცირე გამოანგარიშების შემდეგ ალ. მარგველაშვილისა და სხვათა ცნობების მიხედვით კრებამ თითო მეეტლის შემოსავალი თითო ეტლზე 27 მან. დღიური შემოსავალი იანგარიშა. მილიციის უფროსმა განაცხადა, რომ მას ეტლის შენახვაზე მეტი ეხარჯება, ვიდრე ნავარაუდევი შემოსავალი თითო მეეტლისა.

ამას შემდეგ კრებაზე შემოიწვიეს მეეტლეთა 4 წარმომადგენელი. მათის ჩვენებით თითო ეტლის შენახვა ცხენებიანათ ჯდება დღეში უკანასკნელი 42 მანეთი. თითო მეეტლის დღიური შემოსავალი კი წარმომადგენლების სიტყვით 21 მანეთს უდრიდა. როდესაც ივ. ელენტმა კითხვა მისცა, 21 მანეთით, როგორ ფარავდით 42 მ, ხარჯსაო, წარმომადგენლებმა უპასუხეს, ვსარგებლობდით შემთხვევით და მეტს ვართმევდით მგზავრებსაო. ცნობების ჩამორთმევის შემდეგ პრეზიდიუმმა წარმომადგენლებს სთხოვა დარბაზი დაეტოვებინათ. კრებამ განიხილა დაწვრილებით ის, ცნობები, რომელიც მეეტლებმა, მისცეს და ის დასკვნა გამოიტანა, რომ 5 მ. 25 კაპ. მეეტლებს მეტი უანგარიშიათ. ამის შემდეგ კრება ის იყო შეუდგა თითო მეეტლის შემოსავლის გამოანგარიშებას თითო წყვილ ცხენზე, რომ ბ-ნ ლაზარე ხმალაძემ წინადადება შეიტანა, უარ ეყოთ სრულიად ნიხრი, ვინაიდგან, როგორც მან განაცხადა, ამ ნიხრების დარღვევა სწორედ იმათ უხდებათ ძალაუნებურად, ვინც 3—4 საათი მის შემუშავებას მოანდომა. ორატორი სხვათა შორის სხვა ქალაქების მაგალითებზე მიუთითებს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ნიხრის დაწესება აუცილებელია.

სამგზის კენჭის ყრის შემდეგ კრებამ დაადგინა ნიხრის დაწესება. ამის შემდეგ შეუდგნენ მოთხოვნილებათა მუხლობრივ განხილვას. მეეტლეების მოთხოვნილებანი თითქმის სრულიად დააკმაყოფილეს. დამტკიცებული ნიხრი იხილეთ ახალ ამბებში.

კრებამ დაადგინა სასტიკად დაისაჯნონ ნიხრის დამრღვევნი, როგორც მეეტლეები, ისე მგზავრები.

შემდეგ კრებამ განიხილა მედროგეების მოთხოვნილებანი ზოგი საქონლის გადმოზიდვაში 100 და მეტი პროცენტის მომატებას ითხოვდა. კრებამ მედროგეების მოთხოვნილებათა მუხლობრივ განხილვის შემდეგ ერთხმად დაადგინა ნიხრი აწეულ იქნეს 35 პროცენტით.

კრება გადავიდა ფრიად საყურადღებო კითხვის განხილვაზე—საუბნო სასურსათო კომიტეტთა მოთხოვნილებებზე. სამთო კომიტეტის წარმომადგენელმა კრებას მოახსენა, რომ თითო საუბნო კომიტეტს უკანასკნელი 800 მან. სჭირია თვეში. გამოანგარიშებული ყოფილა საუბნო კომიტეტის თავმჯდომარეს—150 მან., თანაშემწეს—100 მ., მდივანს—50 მ. საქმის მწარმოებელს—100 მ. საკანცელარიო ხარჯები—120 მან. არის კიდევ სხვა ხარჯები. თითო კომიტეტს სჭირდება 1320 მანეთამდე. 4-ივე საუბნო კომიტეტს 4—5 ათასი მან. სჭირია, რის წყაროც, როგორც კრებამ გამოარკვია, ქუთ. სასურს. კომიტეტს არა ჰქონია. დაჭერილი საქონელი, რომლის ფასითაც განზრახული იყო ხარჯებისა დაფარვა, თან და თან მცირდება, ასე რომ ბოლოს შესწყდება კიდეც და ამიტომ შემოსავლის ამ წყაროზე დაყრდნობა შეუძლებლად სცნო კრებამ. ზოგმა წევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საუბნო კომიტეტმა როგორც არჩეულმა ორგანომ უსასყიდლოდ იმუშაოს, მაგრამ კრებამ ეს აზრი არ გაიზიარა; მათი დაჯილდოვება საჭიროდ ილიარა, მაგრამ წყაროს აღმოჩენა ერთობ გაძნელდა. თვით ქალაქის კომიტეტიც ამ მხრივ გამოურკვეველ მდგომარებაში ყოფილა, ვინაიდგან საგუბერნიო კომიტეტს მისთვის სხვა და სხვა საქონელი ფასის აღუნიშნავად მიუცია და არც ის სცოდნია, თუ რა ფასებში უნდა გაეყიდნა.

ქალ. სასურ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა სამსონ კილაძემ უარი განაცხადა პრეზიდიუმის წევრობაზე, ვინაიდგან მას შეუძლებლად მიაჩნია თვიური ჯილდო ილოს მაშინ, როდესაც საუბნო კომიტეტის წევრები არაფერს აიღებენ.

კრებამ საუბნო კომიტეტების ჯამაგირების კითხვის განხილვა შემდეგი კრებისათვის გადადო.

---

## ახალი მომხმარებელი საზოგადოება.

(ძველი ბაზის უბნის მცხოვრებთა საყურადღებოთ).

ამა თვის 16-ს ქუთაისში, წყალგამანაწილში, ძველი ქვიტირის და ალექსანდრეს ქუჩების მცხოვრებლებმა მოახდინეს კრება, რომელზედაც იქონიეს მსჯელობა და და დაადგინეს, გაიხსნას ამ უბანში მომხმარებელი საზოგადოების მაღაზია (კოოპერატიული დუქანი) „ძმობა“.

არჩეულ იქნა გამგეობა, რომელსაც მიენდო საქმის მოწესრიგება. გამგეობაში შედიან: სარდიონ აბზიანიძე, მასწავლებელი ვლადიმერ ნაცვლიშვილი (ბზვანელი), ქაიხოსრო მეძმარიაშვილი, ალექსანდრე გოგისვანიძე, ვასილ არლანაშვილი, ირაკლი ბიბილეიშვილი და გიორგი კანდელაკი; კანდიდატებათ აკ. თევზაძე, თომა კარანაძე და მის. ავალიანი; სარევიზიო კომისიაში წევრებათ: ევს. ფანცხავა, მიხ. წულუკიძე და პორფ. მეფარიშვილი.

წილის ფული დააწესეს ათი მანეთი, საწევრო წლიურად ერთი მანეთი. იმავე დღეს შეგროვდა სამას მანეთამდე. გამგეობამ დაიქირავა ძველი ბანკისა და მესამე ალექსანდრეს ქუჩების თავში მაღაზიისათვის ა. მიქელთაძის შენობა და შეუდგა დღეიდან მოქმედებას და საქმის მოწესრიგებას.

მოუწოდებთ ამ უბნის მცხოვრებლებს განურჩევლად სქესისა ჩაეწერონ წევრებათ და დაჩქარებით შემოიტანონ პაი და საწევრო ფული. ჯერჯერობით წევრებათ ჩაწერა შეუძლიათ სარდ. აბზიანიძესთან, ვლად. ნაცვლიშვილთან და გამგეობის მოლარე ირაკლი ბიბილეიშვილთან.

ნა—ლი

---

## ეროვნული კითხვა.

### სასულიერო საქმეებში უკრაინიზაცია.

ეკატერინოსლავის საგუბერნიო საეპარქიო ყრილობამ მიიღო დადგენილებათა მთელი რიგი საეკლესიო წიგნებისა, ღვთის მსახურებისა, ზნე-ჩვეულება-ადათებისა და უკრაინის ტაძართა სტილის უკრაინიზაციის შესახებ.

### უკრაინული მარკები და ეროვნული ფონდი.

უკრაინული ეროვნული ფონდის [illegible] კიევში [illegible] იშვას საგანგებო უკრაინული მარკები [illegible] ყოველი უკრაინელი ვალდებულია ეს მარკები, რუსული საფოსტო მარკების გვერდით, დააწებოს კონვერტებზე.

### ეკლესიების უკრაინიზაციის კითხვა.

რუსეთის სინოდმა უარყოფით გადასჭრა კითხვა საგანგებო უკრაინული ეკლესიის დაწესების შესახებ; ამ კითხვის აღძრას არც სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობაზე აპირებენ, რადგან უკრაინაში არასოდეს არ ყოფილა ავტოკეფალური ეკლესია და კიევის მიტროპოლიტი ჯერ სტამბოლის პატრიარქისაგან იყო დამოკიდებული, ხოლო მე-17 საუკუნიდან მოსკოვის პატრიარქისაგან, შემდეგ კი მემკვიდრეობით სინოდისაგან. კიევის მიტროპოლიტი ვლადიმირი სინოდის მოწვევით პეტროგრადს მივიდა, რათა ყრილობის წინასწარ საბჭოში თავმჯდომარეობა გასწიოს.

### სრულიად რუსეთის მუსულმანთა ყრილობა.

ამა თვის ოცში სრულიად რუსეთის მუსულმანთა საბჭოს დადგენილებით, ყაზანში მოწვეულ იქნება მეორე სრულიად რუსეთის მუსულმანთა ყრილობა.

### სხდომა მცირე რადასი.

კიევში გაიმართა პირველი სხდომა ცენტრალ რადას (ეგრ. წოდებულ პატარა რადასი) კომიტეტისა, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე არა უკრაინულ დემოკრატიის წარმომადგენელნიც. თავმჯდომ. პროფ. გრუშევსკი მიესალმა მათ, როგორც ამხანაგებსა და თანამშრომლებს. ილაპარაკეს მომავალ საერთო მუშაობისა და მოქმედების შესახებ. ბოლშევიკებს თვისი წარმომადგენლები ამ კრებაზე არა ჰყოლიათ.

### უკრაინელ მუშათა ყრილობა.

სრულიად უკრაინის მუშათა ყრილობას კიევში 300 დელეგატი დაესწრო. სულიერი განწყობილება ყრილობისა წმინდა საქმიანია. ვინიჩენკომ აღნუსხა რადას დაარსებისა და მის პარლამენტად გარდაქმნისა, შემდეგ გენერალურ სეკრეტარიატის ორგანიზაციისა და მისი სამინისტროს უფლებებით აღჭურვის ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ წარმოადგენს ნამდვილ სამინისტროსაო, სთქვა ვინიჩენკომ. ფრონტის საქმეების შესახებ მან გულახდილად განაცხადა: „პირველ ხანებში ჩვენ მაინცა და მაინც არ მივისწრაფოდით თავდაცვისაკენ და ვიძახდით, რომ შეტევა არ არის საჭიროვო, ეხლა კი უკრაინელ სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს აქტიურად აწარმოვონ თავდაცვა, რადგან, თუ გერმანელები კიევს მოადგნენ, მაშინ უკრაინა მარცხენა და მარჯვენა ნაპირებად დაიყოფა, ხოლო მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებში პოლონელი აგრარიები არც რესპუბლიკურ წყობილებას მოგვცემენ და არც მიწას დაგვირიგებენ ხალხს. ამიტომ ომში თავდაცვა თვით უკრაინის ინტერესებისათვის არის საჭიროო“.

### ომში გასვლაზე უარის თქმა.

ერთი პოლკის როტამ, რომელსაც უკრაინელი ოფიცრები უფროსობდენ, უარი განაცხადა ფრონტზე წასულიყო, სანამ საამისო განკარგულებას ცენტრალ რადასაგან არ მივიღებთო. მათი საქმე გადაეცა განსახილველად პოლკის კომიტეტს.

### უკრაინელები ციმბირში.

ქალ. ომსკში ციმბირის უკრაინელთა ყრილობა შესდგა, რომელზედაც უკრაინელმა ჯარისკაცებმა მოითხოვეს ჯარის უფროსისაგან: ან დაუყონებლივ გაგვაგზავნეთ ფრონტზე, ოღონდ იმ პირობით კი რომ უკრაინულ პოლკებში მოვხვდეთ, ან და ადგილობრივ შეადგინეთ უკრაინული პოლკები და ისე გაგვიშვით ფრონტზეო, ჯარების უფროსმა მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა.

### ძველის გზით.

კიევში შესდგა უკრაინულ ტეხნიკურ აგრონომიული ამხანაგობის ორგანიზაცია „პრაცია“-ს სახელწოდებით. მან მოითხოვა, რომ რეგისტრაცია და თხოვნა და საზოგადოების წესდება უკრაინულ ენაზე წარედგინა. რეგისტრაციაზე ამხანაგობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი უთხრეს, სანამ „პრაცია"-ს წესდება და მისი დაკანონების თხოვნაც რუსულ ენაზედ არ იქნება წარდგენილი.

## ქართულ სამხედრო ყრილობის გამო.

(დასასრული, იხ. ჩვ. ქვ. № 84)

ამ ლაპარაკის დროს მეორე დელეგატი ჩხეიძეს და წერეთელს ცალკე წერილებს გადასცემს. აი მათი შინაარსი: დიდი რუსეთის რევოლუციის დედაბოძო, კეთილშობილო ადამიანო ჩვენო თანამემამულე ბ-ნო კარლო! ნუ თუ განახლებულ თავისუფალ რუსეთში სამშობლო ჩვენი ნახევრად თავისუფალი უნდა შევიდეს? ნუ თუ ეგოდენ დაღვრილი უმანკო სისხლი საქართველოს საუკეთესო შვილთა ვერ მიიღებს სრულ თავისუფლებას თავიანთ მოძმეთა და მოყვასთათვის? ნუ თუ თავისუფალი ედემის ბალი არ უნდა შევიქმნათ იქ, სადაც საფლავნი ჩვენი მამათა, ძმათა და შვილთა იქნებიან აყვავებულნი, რომ ყვავ ყორანთა ჩხავილის მაგიერ ბულბულთა სტვენა ისმოდეს იქ?

28 კორპუსში მყოფ ქართველ მხედართა სურვილია საქართველოს სრული თავისუფლება მისი ტერიტორიალური ავტონომიის სახით და აი გვინდა ყველა ქართველ სამხედრო პირთა აზრი ვიცოდეთ ამის შესახებ, რისთვისაც ვიწვევთ დელეგატთა ყრილობას. ხელი შეგვიწყვეთ და დაგვეხმარეთ სადაც საჭირო არის.

მინისტრ წერეთელს. რევოლუციის სულის ჩამდგმელო, საუკეთესო არწივო, ჩვენო თანამემამულე ბ-ნო ირაკლი! სამშობლო ჩვენი ველარ არწივობს. იქ, სადაც თქვენ გაიზარდენით ყვავ-ყორანთ გაუკეთებიათ ბუდენი. ჩვენ კი გვინდა, რომ იქ, სადაც თქვენ ბავშობა გაატარეთ კვლავ თავისუფალ არწივთა ბუდეთა მხარეთ იყვეს, საიდანაც მრავალი არწივი გამოიჩეკებიან..

დღესვე გვინდა გავითვალისწინოთ რა ბედი მოელის ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. გვინდა ვიცოდეთ რას ფიქრობენ მისი შვილნი სამხედრო პირნი რუსეთის ფრონტებზე გაფანტულნი და აი ამ მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ ქართველ სამხედრო პირთა წარმომადგენლების ყრილობა მოვიწვიოთ, რისთვისაც თქვენს დახმარებას ვთხოულობთ. გვინდა რომ მჭიდრო ორგანიზაციები შევკრათ, დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მოვემზადნოთ. მათ საჩქაროთ გადიკითხეს და ბაასი ისევ არჩევნების შესახებ გაგრძელდა. ელიავა ლაპარაკობს საარჩევნო ოლქებად დაყოფაზე და ამომრჩეველთა რიცხვზე. დაღლილი და მისუსტებული ჩვენი თანამემამულე მინისტრი ირაკლი ყურადღებას აქცევს იმას თუ არმიაში იქნება ისეთი რიცხვი ქართველებისა, რომ საკუთარი დეპუტატი აირჩიონ?

—რასა ბრძანებთ ბატონო, ეუბნება დელეკატი, არმიაში კი არა ზოგ ფრონტზე არ იქნება იმოდენა ქართველი, რომ თავისი ხმებით აირჩიოს დეპუტატი. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ერთ ოლქში მყოფ ამომრჩეველს შეუძლიან მეორე ოლქში მყოფ კანდიდატს მისცეს ხმ.? აი ბევრი ამისთანა საკითხებია, რომელიც უნდა გამოირკვეს ქართ. სამხედრო პირთა დელეგატთა ყრილობაზე.

—ყოველი ნაციონალური ყრილობის წინაამდეგი ვარ დღეს. თქვენ იცით? მე გეგეჭკორი ვარ. კავკასიის საერთო ჯარის დელეგატთა ყრილობაზე დავადგინეთ: არავითარ მაგნაირ ყრილობას ადგილი არა ქონდეს, ასე რომ ჩვენები არ მოვლენ..—ვინც მოვა ალბათ ის გამოსთქვამს თავის აზრს ეუბნება დელეგატი.

— Да наконецъ я не разрѣшу въ Тифлисѣ собираться -ამბობს მრისხანე იუპიტერი.

— თუ ჩვენ სამშობლოში არ მოგვცემთ ნებას, მაშინ უკრაინაში შევიკრიბებებით უპასუხებს დელეგატი ბ-ნიგეგ—რი გაცხარებული გამოუთხოვრათ გაშორდება დელეგაციას.

ბ.ბ. არკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე უფრო გულდასმით მოეპყრენ დელეგაციის თხოვნას, ეტყობოდათ, რომ ამ კითხვებმა ისინი დააფიქრეს. ნახეთ სამხედრო მინისტრი უთხრა ჩხეიძემ. ოლცი წუთიც კარგა ხანია გავიდა და საბჭოს კრება ხელახლა იწყობოდა. დელეგაცია გამოეთხოვა ჩხეიძეს, წერეთელს და ელიავას. დაბრუნებულმა დელეგატებმა ყველა ეს მოახსენეს 28 კორპუსის დივიზიების შეერთებულ კომიტეტებს და ასისთავებს. დამსწრენი მეტად აღელვა გეგეჭკორის ასეთმა გამოსვლამ და ბევრი მოითხოვდა მაგარი და მკაცრი პასუხი გაეცეთო. იყვნენ პროტესტის გამო ცხადების მომხრენიც, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნას დაადგა კრება, რომ პრესის საშუალებით ეუწყოს ყველა ეს ჩვენს საზოგადოებას; დეე მან გამოსთქვას თავისი აზრი თუ რამდენათ შეეფერება ეს სიტყვები ჩვენ თანამემამულეს.

ჩვენ ვართ უპარტიონი, მივდივართ ბელადებთან რჩევისათვის და ისინი კი (გეგეჭკორზეა ლაპარაკი) ასეთ მოუთმენლობას იჩენენ რაკი ჩვენ მთლად მათ აზრს და სურვილებს არ ვიზიარებთ. რათა ვწირავთ მთელი ხალხის ინტერესებს პარტიულ ვიწროობას? რატომ დამშვიდებულად ვერ შეგვიძლიან მოუსმინოთ თუნდაც მოწინააღმდეგეს სიტყვა? თუ სოციალ-დემოკრატისთვის აკრძალულია თავის ხალხზე, როგორც ეროვნებაზე, ფიქრი და ზრუნვა რატომ უკრაინელ ცნობილ სოც.-დემ. ვინიჩენკოს, ან ფინლიანდიის სეიმის თავმჯდომარე ტოკოის, რომელთა ეხლანდელი მამულიშვილური მოქმედება უკრაინაში და ფინლიანდიაში თვით უკიდურეს ქართველ ნაციონალისტთა საოცნებო გახდარა არ გამორიცხავს ბ. გეგეჭკორი სოც.-დემ. პარტიიდან? დღევანდელმა ისტორიულმა მომენტმა და საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხმა სხვანაირად გვალაპარაკოს, სხვა ნაირად გვაფიქრებინოს და სხვა ნაირი ნაბიჯები გადაგვადგმევინოს და არა ისეთი როგორიც გაჯიუტებულ გეგეჭკორს აურჩევია. ასეთს გზას გაცალკევებისაკენ მივყევართ ჩვენ სამშობლოს ხსნას კი მისი შვილების შეერთებული გზ ეჭირვება თუ არ გვინდა, რომ ორასი წლობით სამშობლო ჩვენი კვლავ უპიროვნებო და უმნიშვნელო რამეთ არ იყოს მიგდებული.

ნუ შეგვეშინდება თავისუფალი აზრის. გაიგონოს ხალხმა თავისუფალი სიტყვა რათა მან შესძლოს, თითონ გაარკვიოს ავი და კარგი, რომ სწორე გზას დაადგეს. პარტიები განა იმიტომ ახდენენ რევოლუციას, რომ რომელიმე პარტია ზეცას აიყვანონ თუ ხალხის კეთილდღეობა ასწიონ? ჩვენა ვფიქრობთ, რომ პარტიები უკანასკნელისთვის უნდა იბრძოდენ. მაშ უკუაგდონ ჩვენმა პარტიებმა პარტიული „კაცი-ჭამია შოვინისტობა". იმათ ბევრი საერთო მიზანი აქვთ, რამოდენიმე გზა საერთო აქვთ გასავლელი და განვლონ ერთად. როცა კი გზები დაუპირდაპირდებიან ნუ დაივიწყებენ ერთმანეთთან ბრძოლაში ხალხის ბედნიერებას, მის ნამდვილ სულის კვეთებას. ფანატიკოსობა რეაქციონური და ადამიანის ყოველგვარ განვითარების შემაფერხებელი მოვლენაა.

28 კორპუსის ადმს. კომიტეტი.

P. S. ეს წერილი კორპუსის საერთო კრებამაც დაადასტურა.

ალ. კომ.

## მოწერილი ამბები.

### დ. ხარაგოული.

ივლისის 16-ს მოწვეული იყო სასოფლო ყრილობა. ყრილობას დაესწრო 200 300 კაცი, თუმცა ხარაგოულის საზოგადოებაში 1500-2000 კომლი ითვლება. როგორც ეტყობა, ხალხს მოსწყინდა ზოგიერთ სოფლის „მყვირალ-მოყაყანე პირის მიერ სახალხო საქმის არევ-დარევის ყურება. ეს ცხადია თუნდა იმ დადგენილებიდან, რომელიც შეეხება ერთ-ერთ ასეთ პირს: თუ კიდევ ხელს შეუშლის საზოგადო საქმეს თავისი უადგილო ლაყბობით და უხეირო გამოსვლით, საზოგადო კრებაზე არ დავისწროთო. ასეთმა სულიერმა განწყობილებამ ხალხისამ უკანასკნელ ყრილობაზე სძლია სოფლის შავბნელი პიროვნების ნებისყოფას და კრებაც საქმიანი და მშვიდობიანი იყო. კრებას უნდა განეხილა იასაულების დაყენება, მათთვის ჯამაგირების დანიშვნა და საქონლის ჭირთან ბრძოლა. კრებამ ამოირჩია ორი იასაული, დაუნიშნა მათ შესაფერი ჯამაგირი და დაავალა ახალ-ამორჩეულთ კეთილსინიდისიერად შეესრულებიათ თავიანთი მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის მსჯავრს ვერ ასცილდებიან.

საქონლის ჭირთან ბრძოლაში უმწეოა ჩვენი სოფელი. ერთ მაზრაზე დანიშნული ერთი ბეითალი ყველას ვერ გასწვდება და სხვისი მოწვევის საშუალებაც რომ იყოს, კაცი აღარსად არის. მიუხედავად ამისა, სოფელმა თავის თავზე იღვა, ჭირთან საბრძოლველად რადიკალურ ზომების მიღება, რამდენადაც ეს მას შეეძლება. ყრილობამ დაადგინა, რომ არც მროილი და არც ავათმყოფი საქონელი არც შეუშვას და არც გამოიყვანოს ჭირ-მოდებულ სოფლებში. ამ დადგენილების შესრულება მიენდო ასისთავებს, ათისთავებს და უფრო კი მთელ სოფლის ხალხს, რადგან მან უფრო იცის, სად და ვისთან არის ჭირიანი საქონელი. ჭირთან ბრძოლას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ბოლოს და ბოლოს ბრძოლა შეუძლებელი გახდება. და შეიძლება სულ მთლად გასწყდეს საქონლის ჯიში ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში, და საქონელი თუ არ დაურჩა, სოფლის ცხოვრება რომ შეუძლებელია, ეს ცხადზე უცხადესია. სოფელს საქონლის ჭირთან ბრძოლაში ადგილობრივი სოფლის ინტელიგენცია ენერგიულ დახმარებას აძლევს.

აქაურმა ინტელიგენციამ უკანასკნელ ხანებში პარტიულ ქიშპობასა და კინკლაობას თავი დაანება და პირდაპირ შეხედა სოფლის საჭიროებას. იგი სცდილობს რომ სოფელს ყოველ მხრივი დახმარება გაუწიოს, როგორც ნივთიერი, ისე სულიერი. თითქმის ყოველ საზოგადო დაწესებულებაში საქმე განახლების ენერგიით სწარმოებს და ხალხიც უმეტეს შემთხვევაში მადლიერია. ჩვენი სოფლის ინტელიგენციისა და ხალხის დაახლოვება დიდი ხანია, თან და თან ხდებოდა და თავისუფალ ხანაში აჩქარებულის ტემპით სწარმოებს პროცესი დაახლოვება-შეკავშირებისა.

ლას.. დონ.

### ქ. ზესტაფონი.

ამ ჟამათ მთელი შორაპნის მაზრა უსიმინდობით დიდ განსაცდელშია. საგუბ. სასურსათო კომიტეტებისაგან მოწოდებული სიმინდი მცხოვრებთა საჭიროების ნახევარს ვერ აკმაყოფილებს. ხალხის უმრავლესობა ქრონიკულ დამშევის სამოსელში გახვეული. მთავრობის კომიტეტები ვერ ახერხებენ ყოველ კუთხეს საჭიროებისამებრ მისცენ სიმინდი ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ სიმინდის შოვნისა და მოზიდვის მეთაურობა ნებართვა კერძო პირთათვისაც მოეცათ რადგან კერძო პირები ხშირათ უფრო მალე და ადვილათ ახერხებენ სანოვაგის შეძენა-მოზიდვას.

ამას წინად აქ შემდეგ საზარელ ამბავს ქონდა ადგილი. ჩხუბი მოუვიდათ ადგილობრივ მცხოვრებთ, მამა და შვილს, ლოლუაშვილებს. საქმეში ჩაერიენ მილიციელები. ლოლუაშვილმა სადღაც საყასბო დანა იშოვა. დაიჭრა ლოლუაშვილის ვაჟი. ამას წინათ ლოლუაშვილებმა ჩხუბის დროს საყასბო დანით მოჰკლეს ბოქაულის თანაშემწე ორმოცაძე. ხსენებული პირები შენიშნული არიან აგრეთვე ჯაშუშობაში და შანტაჟისტობაში. ადგილობრივი ადმ. კომიტეტი მათ წინააღმდეგ ენერგიულ ზომებს იღებს, მაგრამ ბევრათ უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს აბეზარა ქალაქის შემაწუხებელი პირები დატუსაღებით ეძლაკიათ.

სანო.

## რუსეთი.

### საქალაქო არჩევნების შედეგი.

ცარიცინი. 70.000 ამომრჩეველში მხოლოდ 30000-მა მიიღო მონაწილეობა. ეჯიბრებოდა ერთიმეორეს 14 სია. ასარჩევი იყო 102 ხმოსანი; ამათგან 41 ადგილი ესერების, მენშევიკებისა და ბუნდის ბლოკმა დაიკავა: 39 ადგილი-ბოლშევიკებმა; 8—სახლის პატრონებმა; 1—სახალხო სოციალისტებმა; 4—მუსულმანებმა 1—ლუტერანებმა; 2—ებრაელებმა; 3—სამღვდელოებამ.

უფა. მონაწილეობა მიიღო 30153 ამომრჩეველმა. წარმოადგინეს 7 სია. სოციალისტურ პარტიების ბლოკს ხვდა 71 ადგილი; ქალაქის სარაიონო კომიტეტის მუშებს—2; ძველი უფის განაპირა მცხოვრებთ—1; სახალხო თავისუფლების პარტიას—14; საზოგადო დაწესებულებათა და ბანკთა მოსამსახურეების კავშირს—1; სახლის პატრონთა კავშირს—1; მუსულმანებს—9; სულ აირჩიეს 102 ხმოსანი.

დონის ნახიჩევანი. საბჭოში შევიდა 30 მენშევიკი (12025 ხმით): 18 ესერი (7175 ხმ.); 6 კადეტი (2518 ხმ.); 3 ბოლშევიკი; 2 მდაბიო მოქალაქეთა და სომეხთა ეროვნული ჯგუფისაგან; 1—სახლის პატრონთა დემოკრატიული ჯგუფისაგან.

ოდესა. გამოირკვა ქალაქის ამომრჩევლების სრული დეზორგანიზაცია. ბლოკებზე მოლაპარაკება უნაყოფო შეიქნა; ჯერ-ჯერობით შეერთდნენ: მენშევიკები ბუნდოველებთან და ესერები გლეხთა კავშირთან. ცალ-ცალკე გამოდიან: ბოლშევიკები, კადეტები, პოლონელები, უკრაინელები, ებრაელების სახალხო პარტია და სახლის პატრონთა საზოგადოება.

პოკროვსკი. ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. გაიმარჯვა მუშათა საბჭოს სიამ, რომელიდან 31 ხმოსანი გავიდა. გლეხებმა გაიყვანეს 10 ხმოსანი; სტაროდუმცებმა—3 ხმოსანი.

### მღელვარება ინგლისის ახალშენებში.

მრავალ რიცხოვან ინგლისის ახალშენ იუზოვკაში რაღაც მღელვარებაა. თითქმის ყველა აგზავნის თავის ცოლ-შვილს ინგლისში, ზოგიერთები საქმეების ლიკვიდაციასაც ახდენენ.

### ანტისემიტური აგიტაცია.

სანაპიროების მუშათა შორის სარატოვში ეწევიან დარბევის მოსახდენ აგიტაციას. ანტისემიტური ქადაგება ქუჩებზე ხდება; მუშაობენ უწინდელი პოლიციელები და მოხელეები.

### გლეხთა ყრილობის მიერ მონასტრის დაკავება.

სლუცკის გლეხთა ყრილობამ დაადგინა დაიკავოს სლუცკის მონასტრის შენობა იმ მიზნით, რომ ის აქციონ გიმნაზიად. ამას გარდა აღძრეს კითხვა, რომ ჩამოერთვას მონასტერს მიწები სასოფლო-სამეურნეო ნაწილის სასარგებლოდ, რომელიც დაარსებული იქნება ამავე გიმნაზიასთან.

### ფქვილის მრეწველობის საქმე ურალზე.

როგორც სამხედრო სამრეწველო კომიტეტი მთავრობას ატყობინებს, ფქვილის მრეწველობის საქმე ურალზე ისეთ უმწეო მდგომარეობაში ყოფილა, რომ ყველა მომქმედ წისქვილს დახურვა მოელის. ივნისის განმავლობაში ერთი მილიონი ფუთი ციმბირის ხორბლის მაგიერ, წისქვილებს მისვლიათ მხოლოდ რამოდენიმე ათიათასი ფუთი ხორბალი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.


ექიმები:

ი. ჩარექიშვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხ. ტელეფონი 135 №.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ქალთა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ტიტემინსკის სახლი

ექიმი პავლე ძე მოლაშვილი დაბრუნდა და ... დილის 8—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა ...

ბ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ქუთაისის სადგურზე

როდესაც მატარებელი მოვიდა თბილისიდან დავკარგე

რევოლვერი

„ნაგანის" სისტემის № 5099 თუ ვინმემ იპოვის მოიტანოს „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

პოდპორუჩიკი არტემ აბაშიძე.


### რკინისგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. | |
| „ | — საღამ. | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან | დილის | 10 ს. 20 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |
| ბათუმისაკენ | დღით | 1 ს. 40 | წ. |


დ. ხარაგოული.

კვირას, 23 ივლისს, 1917 წ. ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ 10 პროც. გადაიდება ხარაგაულის სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ.

გაიმართება დიდი

სმირნოვა-საღამო

მომენტის შესახებ გ. წერეთელი
დედა და შვილი ი. ჭავჭავაძე
ეროვნული კითხვა ა. თორაძე

დივერტისმენტი

ი. გრიშაშვილის და ლადო მაჭავარიანის მონაწილეობით

სცენები, კუპლეტები „ვაი-ვუის ხმაზე" და დეპეშები ალეგრა, ლოტარია, ფოსტა, „ბედის კლიტე" „მეოცე საუკუნის მხეცი მკითხავი და სხ. ცეკვა. დაუკრავს ზურნა და სიმებიანი ორკესტრი. დასასრულ ვახშამი.

დიასახლისები. ნ. კიკნაძე, ნ. დეკანოსიძე, ლ. გუნცაძე

გამგე გრ. მაჭავარიანი

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო" 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. კანტორა ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფონი 15—73.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო"